საქართველოს
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
თავმჯდომარე

GEORGIAN
NATIONAL ENERGY AND WATER
SUPPLY REGULATORY COMMISSION
CHAIRMAN

31/07/2014 N 1/03-18/160-3002 3002-1/03-18/160-2-201407310950

„____“_____201 წ. №_____

თქვენი №

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 215
თარიღი: 1 08 2014 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციას“ (GRASS)

თქვენი № 374 (17.06.14) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში კომისია) ყოველი წლის 31 მარტამდე ადგენს თავისი საქმიანობის შესახებ გასული წლის ანგარიშს, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. შესაბამისად, კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარმოდგენილია აღნიშნული ანგარიშები, ხოლო 2013 წლის ანგარიშში, დანართი№ 6 სახით მოცემულია ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების დონე და დინამიკა საქართველოში 1999 – 2013 წლების მდგომარეობით, დღგ - ს ჩათვლით, რეგიონების მიხედვით.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და დადგენილი სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად კომისია ელექტროენერგეტიკის სექტორში ადგენს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების, გატარების, იმპორტისა და მოხმარების, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფებს, აგრეთვე გარანტირებული სიმძლავრის საფასურსა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობა ითვალისწინებს განაწილების ლიცენზიატის მიერ მიწოდების პუნქტებიდან ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიღება/შესყიდვას, გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციასა და მიღებული/შესყიდული

0194 ქ. თბილისი. ა. მიცკევიჩის ქუჩა № 19
19 A.Mitskevichi str. 0194 Tbilisi Georgia
ტელ./Tel.:(032)242-01-80
ფაქსი/Fax: (032) 242-01-60
ელ-ფოსტა: mail@gnerc.org
ვებ-გვერდი: www.gnerc.org

ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლზე რეალიზაციას (განაწილებას). შესაბამისად, ელექტროენერგიის მოხმარების (სამომხმარებლო) ზღვრული ტარიფი კომისიის მიერ უდგინდება კონკრეტულ განაწილების ლიცენზიატს (განაწილების ლიცენზიატის მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფი) და იგი მოიცავს როგორც ელექტროენერგიის განაწილებასთან, ასევე მის შესყიდვასთან (ადგილობრივი გენერაცია, იმპორტი, გარანტირებული სიმძლავრის საფასური), ტრანსპორტირებასთან (გადაცემა/დისპეტჩერიზაცია) და ბაზრის ოპერატორის მომსახურებასა და კომისიის რეგულირების საფასურთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

განაწილების ლიცენზიტები ელექტროენერგიის შესყიდვას ახორციელებენ ელექტროენერგიის სხვადასხვა მომწოდებლებისაგან (პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე), ასევე ბაზრის ოპერატორისაგან (საბალანსო ელექტროენერგია). შესაბამისად, კომპანიების მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი განსხვავებულია როგორც საანგარიშო პერიოდების, ასევე ტარიფის რეგულირების პერიოდების მიხედვით. ასევე განსხვავებულია ელექტროენერგიის გადაცემასთან და დისპეტჩერიზაციასთან, გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები თითოეული კომპანიისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი კონკრეტული ელექტროსადგურისაგან შესყიდული ელექტროენერგიის ტარიფის ცვლილება არ წარმოადგენს საბოლოო სამომხმარებლო ტარიფის ცვლილების აუცილებელ წინაპირობას, ვინაიდან ეს პროცესი დაკავშირებულია კომპანიის მიერ რეგულირების პერიოდში ელექტროენერგიის ყველა მომწოდებლისაგან ჯამურად შესყიდული ელექტროენერგიის სრული პორტფელის ღირებულებასა და კომპანიების მიერ ტარიფის შემადგენელი სხვა კომპონენტების მიხედვით განხორციელებულ ფაქტიურ დანახარჯებთან.

რაც შეეხება ტარიფში საინვესტიციო კომპონენტის ოდენობას, გათვალისწინების პირობებსა და ვადას, როგორც ეს უკვე გეცნობათ კომისიის 2013 წლის 22 ოქტომბრის № 1/06-18/163-2741 წერილის საშუალებით, იგი განსაზღვრულია შესაბამის ინვესტორსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და შემდგომში ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე და შეიცავს დათქმას აღნიშნული დოკუმენტაციის კონფიდენციალურად ცნობის თაობაზე.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

0194 ქ. თბილისი. ა. მიცკევიჩის ქუჩა № 19
19 A.Mitskevichi str. 0194 Tbilisi Georgia
ტელ./Tel.:(032)242-01-80
ფაქსი/Fax: (032) 242-01-60
ელ-ფოსტა: mail@gnerc.org
ვებ-გვერდი: www.gnerc.org